წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 23 ივლისი 1915 წ. № 51

საქართველო

ხელის მოწერა და დახმარებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

„ხარფუხის კლუბი“

პროგრამა 23—26 ივლისამდე

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

ხუთშაბათს 23 ივლისს **საბავშვო საღამო,** სეირნობა სხვა და სხვა გასართობები, **სინემატოგრაფი მუსიკით.** შემდეგ **მანდოლინტების ხორო.**

პარასკევს—24 ივლისს **სინემატოგრაფი**—ბაღში **საზანდარი.**

შაბათს—25 ივლისს **საოჯახო საღამო**—ქართ. წარმოდგენა **კონცერტით.** ბაღში **სამხედრო ორკესტრი.**

კვირას—მანდოლინისტების ხორო.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8½ ს., წარმოდგენების და კონცერტების—9 ს. საბავშო საღამოები – 5—9 საათამდე—სტუმრები იხდიან მამაკაცები—30 კ. დედაკაცები და სტუდენტები ფორმაში – 20 კ.—**საოჯახო საღამოს**—სტუმრები იხდიან—ქალები და სტუდენტები—30 კ. მამაკაცები 50 კ.

პირველხარისხოვანი

სასადილო

„კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს **მყუდრო** ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

გამოცდილი გებია და მასაჭის მცოდნე

რაზილ კალანდაძე

ქ. ეკატერინოსლავის საბებიო სასწავლებლის კურს დამთავრებული. ნახვა შეიძლება დილის 8—9½ საათამდის და საღამოს 4—8 საათ. **უკეთებს აგრეთვე კანში წამალს და უცრის ყვავილს.** მისამართი: კირპიჩნი შესახვევი № 12 0—1

ძ. გოგრში

ექიმი ნ. მ. კლიმია შვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის შე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ომის დღიური

მიმოხილვა

რიგის მიმართულებით რუსის ჯარი გადმოსულა მდინარე ესაუს მარჯვენა ნაპირზე. ეს მდინარე აღმოსავლეთით ჩაუდის მიტავას (რიგის დასავლეთით 25 ვერსზე), რომელიც ამ ჟამად მოპირდაპირის ხელშია. ნარევის ორივე ნაპირზე, ვისლის მარჯვენა ნაპირზე ივანგოროდის ჩრდილოეთით და ლიუბლინხოლმის ჩრდილოეთით კვლავ გრძელდება გაუთავებელი და მეტად მკაცრი საარიერგარდო ბრძოლები. ოფიციალი ცნობა იუწყება, რომ ნარევის ერთ კუთხეში ჩვენ ძალიან დიდი ზარალი მოგვივიდაო. თუ გავიხსენებთ, რომ ასეთი კუთხე უშველებელ ბრძოლის პირზე ბევრია, და თავდამსხმელს გაცილებით მეტი ზარალი მოსდის მომგერებელზე, საერთო ზარალი მსოფლიო ისტორიაში უმაგალითო და უუმკაცრეს ბრძოლისა ასი ათასობით უნდა დაითვალოს.

—

ჩვენსკენ კვლავ გამოცოცხლდნენ აქამდე თითქმის მიყუჩებული ოსმალები. შავი ზღვის პირიდან მოყოლებული ვანის ტბამდე დაიწყო საერთო შეტაკება წინა მავალთა, ხოლო ალაშკერტის მიმართულებით ავერ რამდენიმე დღეა რაც გრძელდება უკანა მავალთა მედგარი ბრძოლა. ოსმალებს ახალი ჯარი მოუშველიათ.

მ. ბ—ლი.

დეპეშები

თბილისი, 21 ივლისი. 19 ივლისს ოლთისის მიმართულებით არკისთან ჩვენმა მზვერავებმა ოსმალთა დარაჯნი გარეკეს. მთელ ფრონტზე ჩვენს მზვერავებს შეტაკება უხდებათ ოსმალთა მოწინავე რაზმებთან. სარაყამიშის მიმართულებით საჰაერო ზვერის დროს ერთმა ჩვენმა მფრინავმა უყმბარები დააყარა ოსმალთა ბანაკს და დიდი არეულობა გამოიწვია. ალაშკერთის მიმართულებით საარიერგარდო ბრძოლა სწარმოებს.

თბილისი, 22 ივლისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 20 ივლისს მთელ ფრონტზე შეტაკებაა ოსმალთეის ჯარებთან. ელაშკერტის მიმართულებით ნაცარი შეტაკებებია ჩვენს ჯარის უკანა რაზმებისა ოსმალეთის ჯარის წინა რაზმებთან.

პეტროგრადი, 21 ივლისი. ოფიციალი. უმთავრეს მთავარსარდლის შტაბისაგან. ჩვენმა ჰიდროპლანებმა ვინდავასთან იერიში მიიტანეს ერთ გემზე და აიძულეს იგი ნაპირზე გამორიყულიყო; მერე იერიში მიიტანეს მტრის ცეპელინსა და ორ ჰიდროპლანზე; ერთი მათგანი ჩამოვარდა, ხოლო მეორე და ცეპელინი გააქციეს. რიგის მიმართულებით ჩვენი ჯარი გადმოვიდა მდ. ეკაუს მარჯვენა ნაპირზე. პონევეჟის აღმოსავლეთით 19-სა და 20 ივლისს კვლავ მედგარი ბრძოლებია. კოვნოს დასავლეთით შეტაკებანი გახშირდა. მდინარე ნარევზე შკვას შესართავთან მოპირდაპირეს მოაქვს დაუინებითი იერიშები. აქ ჩვენი თხრილები ხელიდან ხელში გადადიოდა და საქმე ხშირად ხიშტამდე მიდიოდა. მეტად სასტიკი ბრძოლა იყო ნარევის მარცხენა ნაპირზე, როჟანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ძებენინ-ბუეზნოს სამხრეთით, სადაც მოპირდაპირეს ყოველი ნაბიჯის გადმოდგმა მეტად ძვირად უჯდება. ქვემო ნარევსა და ვისლის მარცხენა ნაპირზე 20 ივლისს მხოლოდ სროლა იყო. ვისლის მარჯვენა ნაპირზე გადმოსულმა მოპირდაპირემ 19 ივლისს საღამოზე მეტად სასტიკ ბრძოლის შემდეგ, ხელთ იგდო მაცევიცეს ჩრდილოეთით ნაწილი დიდის ტყისა და საკმაო დიდ მანძილზე გაიშალა. ვისლისა და ბუგის შუა მტერს იერიში მოჰქოდა დაბა კუროვის მიდამოებში და ლიუბლინის ჩრდილოეთით, სადაც მისი იერიში მოვიგერიეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ. იგი მოიწევდა აგრეთვე ტრავნიკი-ვლოდავას შარა გზის ორივე პირზე. მან მოახერხა რაოდენადმე წინ წამოწევა მდინარე სვინკას ზემო ნაწილში. ბუგსა, ზოლოტაია ლიპას და დნესტრზე ცვლილება არ მომხდარა. ბუგისა და დნესტრის შუა მოვიგერიეთ სუსტი იერიში მოპირდაპირისა.

შავ ზღვაზე ჩვენმა ნაღმოსნებმა გაჩხრიკეს მთელი ნაპირები ანატოლიისა და გაანადგურეს 450-ზე მეტი იალქნიანი ნავი და ნაავების ამშენებელი ოთხი ვერფი. დალუპულ ნავთა მეზღვაურები დატყვევებულ იქმნენ.

პეტროგრადი, 21 ივლისი. უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში მტერი ძალიანა სცდილობდა გავერეკეთ ნარევის და ოსტროლენკის მიდამოებიდან ლომჟამდის. ედვაბნოს რაიონში საპოზიციო ბრძოლა სწარმოებს, და ჩვენ ჩვეულებრივ ვჯობნით სანაღმო ბრძოლაში. პისსა-შკვას ფრონტზედ იერიში მოჰქონდა მთელს არმიას, ამ ადგილებში გამოჩნდა საფრანგეთიდან გადმოყვანილი რაზმები, მაგრამ ჩქარა გაბოირკვა გერმანელების სისუსტე. მთელი ერთი კვირა დასჭირდა გერმანელებს ჩვენი ჯარის სოფ. სერვატკიდან ჩვენი დარჩენილი ჯარის გასადევნათ, ხოლო ბრძოლა ნოვოგოროდთან ნარევზედ გადასასვლელად ჯერაც არ დაწყებულა. მდ. შკვას შესართავთან, რადგან ტყე გერმანელებს ხელს უწყობდა, მოახერხეს მათ მეორე ნაპირზედ გადმოსვლა; მაგრამ ჩვენ შეტევით უწევდით წინააღმდეგობას და ხიშტებით ვულეტავდით გერმანელ ჯარის ნაწილებს. რადგან გერმანელები ჩვენთან ვერას აწყობდნენ ზარბაზნების უქონლობის გამო. ამ მარცხმა იძულებული ჰყო გერმანელები აქედან თავიანთი საფრანგეთიდან მოსული მაშველი რაზმები როჟანის რაიონში გადაეყვანათ. ამ ადგილის ჯარები გააძლიერეს აგრეთვე ვისლის მარცხენა მხარედან გადმოსულმა რაზმებმა. მთელი ყურადღება მდ. ორჟის მიმართულებით იყო მიქცეული, მაშინ მოწინააღმდეგემ შესცვალა თავის იერიშების მიმართულება, და ნარევისა და რჟის მიმართულებით ცდილობს. რომ წინ წაიწიოს ოსტროლენკისაკენ ჩრდილო-აღმოსავლეთით. 3 დღის ბრძოლის განმავლობაში მტერი არა ერთხელ წამოსულა იერიშით რუსების თხრილებისკენ, მაგრამ დიდი ზარალის შემდეგ წინ წაიწია მხოლოდ 2—3 ვერსზედ 20 ივლისს, როცა რუსეთის ჯარმა მოიგერია ერთი უსასტიკესი იერიში გერმანელებისა, შეამჩნია, რომ გერმანელთა ცხენოსანმა ჯარმა იერიში მიიტანა თავიანთსავე ქვეითა ჯარზე, რომ აეძულებინა ისინი კვლავ წამოსულიყო იერიშით რუსის ჯარზე. გერმანელთა ზარალი აქ ძალიან დიდია. ამ ბრძოლის ველის სამხრეთით სოფელ პაკშივნიცასთან მტერმა მრავალ ჯარს მოუყარა თავი, რათა გადმოსულიყო ოჟის ველზე, მაგრამ რუსების არტილერიამ ჩააჩუმა გერმანელების არტილერია. რუსების ზარალი აქ ნამეტანი დიდია, მაგრამ ჯარი მამაცათ ეწინააღმდეგება მტრის განზრახვას—ნარევის მხრივ ღრმად შემოვლა და უკანიდგან თავს დასხმა რუსის ჯარზე—რომელიც იკავებს მაკენზენის ჯარის წინ სვლას.

ქურნალ-გაზეთებიდან

გერმანეთის რეაქციონერები დაპყრობილ ადგილების ანექსიის შესახებ.

„კროიც-ცაიტუნგ“-ი სწერს: მომავალ სამშვიდობო მოლაპარაკების დროს არც ერთი მტკაველი ადგილი, რომელიც გერმანელების სისხლის ფასით იყო მოპოებული, არ უნდა დაუთმოთ მოწინააღმდეგეთ, თუ ეს ადგილები საჭირო არის გერმანეთის საზღვრების სტრატეგიულად გამაგრებისათვის.

სოციალ-დემოკრატების გაზეთები უპასუხებენ: ამ გვარი მოთხოვნილებათა წარდგენა შეუძლიათ მხოლოდ იმ მყვირალებს, რომელნიც უეჭველად მაშინვე ზურგს უჩვენებენ მტერს, თუ მოუხდათ როგორმე ბრძოლის ველზედ გამოსვლა.

ავსტრიის მინისტრი პოლონეთში.

ავსტრიის შინაგან საქმეთა მინისტრს ბარონ გეიპოლდს დაუვლია დაჭერილ პოლონეთის ზოგიერთი ადგილები და ძალიან კმაყოფილი დარჩენილა იმითი, რომ ხალხის გამოკვების საკითხი, სანიტარული მდგომარეობა ხალხისა, სამართლის წარმოება და რკინის გზის მიმოსვლა კარგად არის მოწყობილი ახალ მმართველობის მიერ. მხოლოდ მინისტრმაც დაადასტურა, რომ პოლონეთში დიდი შიმშილობა და გადამდები სენია გავრცელებული. მინისტრს მოუვლია აგრეთვე შუა გალიცია და გამოუკვლევია ლვოვის ზარალიც. (ბ. ვ.)

ბელგიელების უზრუნველყოფა სურსათით.

ამერიკის საქველმოქმედო კომისიის დაუღალავ შრომის მეოხებით ბელგიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია სანოვაგით. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში აქ შემოუტანიათ 530,000 კილო ხორბალი, 50.000 კილო ბრინჯი, 100.000 კ. სიმინდი, 30.000 კ. ცერცვი და სხვა. ამ კომისიის გამგებლობაში იყო 13 მილიონ ფრანკამდის. ნაღდი ფული და ტანსაცმელი 8 მილიონისა. როკფელერმა შესწირა კომისიას 5 მილიონ ფრანკამდის.

ლიბავა.

ლიბავის ვაჭრობა თან და თან გერმანეთის ვაჭრების ხელში გადადის, რომლებიც აქ თავიანთ ფირმების განყოფილებებსა ჰხსნიან. წარწერა მაღაზიებზედ განსაკუთრებით გერმანულია. მემაღაზიენი მოითხოვენ მყიდველებისაგან განსაკუთრებით გერმანულს ლაპარაკს. (ბ. ვ.)

—

„რუსკოე სლოვოს“ ლონდონიდან ატყობინებენ: „ტიმეს“ სწერს: დღეიდან გერმანიის პასუხის გაცემა ჩვენზეა. ჩვენ არ ავუხვევთ გვერდს მის გადაწყვეტილებას. საფრანგეთმა და რუსეთმა, რომლებმაც აუარებელი მსხვერპლი შესწირეს, დღეიდან ჩვენ უნდა გვიცქირონ.

—

სამხედრო-საზღვაო კომისიაში სხვათა შორის ამორჩეულ იქმნენ მილიუკოვი, შინგარევი, პაპაჯანოვი, ბარდიუი, ტევკელევი, დზიუბინსკი, ჩხენკელი. თავმჯდომარეობაზე უარი სთქვეს შულგინმა და სავიჩმა. ამოირჩიეს შინგარევი.

—

სოფია. აგვისტოში მოელიან რუმინიის გამოსვლას, რომელიც საჩქაროთ ემზადება ომისთვის.

სოფია. მართლდება ხმები ოსმალეთ-ბულგარეთის შეთანხმების შესახებ.

ვარშავა. ხუთ გერმანელ მფრინავთაგან, რომლებიც ვარშავაზე გამოჩნდნენ, 2 მოკლულია; 3 ავიატორი ტყვედ არის წაყვანილი.

ვარშავა. ოთხმა გერმანელმა მფრინავმა 35 ყუმბარა ჩამოჰყარეს: 3 კაცი მოკლულია, 4 კაცი ჭრილობებისაგან დაიხოცა, 13 კაცი დაჭრილია. ერთი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

ბუქარესტი. ავსტრია გაფაციცებით საზამთროდ ემზადება.

სახელმწიფო სათათბირო

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

(გაგრძელება)

სახ. სათათბიროს თავმჯდომარე კითხულობს სწრაფ დეპეშას უმაღლეს მთავარ სარდლისაგან: „მამაც ჯარის სახელით სახელმწიფო სათათბიროს ვუძღვნი გულითადს მადლობას სალამისათვის. რუსეთის ჯარს და ფლოტს ღრმად სწამთ, რომ მათთან ერთან ღმერთია, და მისი ყოველად ძლიერი ძალა. იმის შეგნება, რომ მთელი რუსეთი შეერთდა თავის მეფის მოწოდებით და ყველა მოვალედ სთვლის თავის თავს შემწეობა აღმოუჩინოს ჯარის ბრძოლას, აღაფრთოვნებს რუსის ჯარს კეთილ-შობილური გრძნო-

ბით, უფრო დიდი იმედით მტრის დათრგუნვისა. მრწამს, რომ მეომრები, დაუშრეტელი წყაროთ მონავალნი, აღფრთოვანებული იქნებიან იმავე გმირული სულით, როგორც იმათი ძმები, რომლებმაც დაიმკვიდრეს დიდი სახელი, რომელიც არა მარტო სამშობლომ, არამედ ჩვენმა მამაცმა მოკავშირეებმაც დააფასეს. გთხოვთ გადასცეთ სახელმწიფო სათათბიროს წევრებს ჩემი გულითადი მადლობა სალამისათვის, რომელიც მე გულწრფელად მესიამოვნა.

გენერალ-ადიუტანტი **ნიკოლოზ.**

მორიგი საკითხი: მთავრობის წარმომადგენელებისა. განცხადების განხილვა.

კარაულოვმა განაცხადა სახელმწიფო სათათბირო ორგანოა არა მარტო კანონმდებელი, არამედ საკანტროლოც და ამისათვის ხმა უნდა ამოიღოს და სთქვას რომ: „მთავრობა არ უწევს ანგარიშს ამ სერიოზულ მომენტს, ის უმოქმედოა და დაჰკარგა ძვირფასი დრო. დეპუტატი ადასტურებს, რომ მთელი რუსეთი გამსჭვალულია, ერთი არზით, რომ მტერი დაამარცხოს, ომი არ უნდა გათავდეს, მინამ გერმანია სულ არ იქნება განადგურებული, და სლავიანები არ გაიმარჯვებენ, ამისათვის კი საჭიროა, პირდაპირი გადასახადის შემოღება და რა ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანია ეს შემოღება პასუხისმგები სამინისტროსი.

ევსეევი მოაგონებს, რომ 27 იანვარს გლეხებმა სათათბიროს ტრიბუნიდან გაიგეს, როგორ უყურებენ ომს ისინი და რას მოელიან მისგან. მას შემდეგ, როგორც ომის ასპარესზე ისე აქაც ბევრი რამ ცვლილება მოხდა. ომში ჩვენი მდგომარეობის დახასიათება შეიძლება შემდეგი სიტყვებით: „არ გვყოფნის საომარი მასალა და თოფები“. რუს მეომარს ტოლი არა ჰყავს, მტერი მხოლოდ საომარი მასალების რაოდენობით იმარჯვებს. ლაპარაკობენ თითქოს საომარ მასალის მოგროვებაში მონაწილეობას ღებულობდნეს ისეთი ხალხი, რომელიც პასუხს არ აგებს. მაგრამ ხალხისა და ხელმწიფის წინაშე უპასუხისმგებლო პირნი არ უნდა არსებობდნენ, რომ ხალხმა იცოდეს თანამედროვე სიმართლე. განა მტერს შეეძლო ვარშავასთან, ლიუბლინთან და რიგასთან მოსვლა?

როგორც ათასი წლის წინად, არც ეხლა გვექნებოდა წესრიგი, რომ საქალაქო და საერობო დაწესებულებანი არ მოგვშველოდა. შემდეგ ორატორი ეხება გერმანელთა ძალადობას და ამტკიცებს, რომ ძალადობა უფრო საშიშია ვიდრე გერმანელთა იარაღი. მოპირდაპირეს ქვეშევრდომნი დღემდის ვერ გააძევეს რუსეთიდან. 2 თებერვლის კანონი გერმანელთა მამულების ლიკვიდაციაზე რიგიანად ხორციელდება. სამრეწველოებში და ადმინისტრაციაში ბევრ გერმანელს უჭირავს ადგილი. რათა ბრწყინვალედ დამთავრდეს ომი—ამთავრებს ემესეევი—გლეხობა საჭირო სთვლის მიღებულ იქმნეს მკაცრი ზომები გერმანელთა გამრავლებისა რუსეთის ტერიტორიაზედ, პოლიციელების დაბრუნებას ჯარში, გამოძიებულ იქმნეს მოქმედება იმ მაღალ პირთა, რომლებმაც არ გაამართლეს ხალხის ნდობა. დასასრულ ორატორი მომქმედ ჯარს უგზავნის სალამს.

ჯაფაროვმა განაცხადა: რუსეთი მრავალტომთა სახელმწიფოა. მუსულმანებს უკავიათ მე-2 ალაგი მცხოვრებთა შორის. ხალხის შეერთებას და გამარჯვებას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როცა არ განმეორდება ისეთი ამბები, როგორსაც ალაგი ჰქონდა ბათომსა და ყარსის ოლქში მუსულმანებისადმი მოპყრობას.

მანკოვმა მოიხსენია ის საშინელებანი, რომელიც მან იხილა ბრძოლის ველზედ. რათა ხალხი დავიხსნათ ამ გვარ მოვლენებისაგან, საჭიროა ომი ბოლომდის იქმნეს მიყვანილი. ამ აზრისანი არიან საფრანგეთის და ინგლისის სოციალისტები. ამასვე იტყოდნენ რუსეთის მუშები, მაგრამ მუშებს არა აქვთ თავისი პრესსა, მუშათა საზოგადოებები დახურულია, ფართო მასსა მოკლებულია თვით-მოქმედებას.

ფრიდმანი საჭიროდ სთვლის, რომ თუ მოხდა მობილიზაცია ხალხის ძალისა, უნდა მოხდეს მობილიზაცია აგრეთვე ხალხის სულისა, რომელიც გაამხნევებდა ყველა ეროვნებას რუსეთისას, აღნიშნა რა, რომ ებრაელები, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ყველა დევნისა, აღჭურვილნი იყვნენ საერთო პატრიოტიულ გრძნობით, მიიღეს მხურვალე მონაწილეობა ამ ომში, გზავნიდნენ ომში დედის ერთა შვილებსაც კი, და ომში ებრაელები სხვაზედ ნაკლები არ აღმოჩნდნენ, და ბევრი მათგანი დაჯილდოვებულია, ებრაელთა მასა ამოეყო სამხედრო მოქმედების ცენტრში, და ყველა უბედურებანი ომისა მასაც ხვდა წილად, მაინც მთავრობამ არა თუ შეინარჩუნა, არამედ კიდევაც გააძლიერა დაუჯერებელ საზღვრამდე რეპრესიები ებრაელებისადმი. პროტესტს აცხადებს რა გამცემლობაში ბრალდებას ფრიდმანი ამტკიცებს, რომ ეს ბრალდება—სიცრუეა და მოგონება. აღნიშნა რა რომ იმ მხარეში, სადაც არა უუფლებობაა, ამ გვარი ცილისწამება არ არსებობს, ფრიდმანი მოუწოდებს სათათბიროს დაუბრუნოს ებრაელებს რუსეთის მოქალაქეობრივი უფლებანი, ვინაიდგან ეს აქტი იქნება სამშობლოს დიდების სამსახური.

პაპაჯანოვი, როგორც სომეხთა დეპუტატი აღნიშნავს, რა დიდი პატრიოტული გრძნობით არიან აღჭურვილნი სომხები. არაა მსხვერპლი, რომელიც დაიშუროს სომხობამ, რათა რუსეთმა ბრწყინვალედ გაიმარჯვოს. სომეხთა მემარცხენე პარტიის წარმომადგენელნიც კი, რომელთაც უწინ სდევნიდნენ, ეხლა დაივიწყეს ყველა დევნანი, მონაწილეობენ დრუჟინებში, იბრძვიან. მოწინავე პოზიციებზედ რათა დათრგუნონ მტერი. სამწუხაროდ ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელნი კვლავ ეწევიან ძველ პოლიტიკას სომხებისადმი. კავკასიაში არაფერი გაკეთებულა საზოგადოებრივ ორგანიზაციის მოსაწყობათ, არ არის ერობა. ყოველ შემთხვევაში რუსეთის სომხობა შეასრულებს თავის ვალს ბოლომდე და სწამს, რომ რუსეთის საშუალებით სასომხეთი განთავისუფლდება საუკუნოებრივ მტრისაგან.

გოლდმანი (ლატიშთა წარმომადგენელი) ამოწმებს, რომ ლატიშთა ხალხმა ერთი წლის ომში ნათლად დაამტკიცა თავის ერთგულება რუსეთისადმი. ის შემდეგშიაც, ვით სალი კლდე ისე იდგება რუსეთის გულისათვის. რაც უნდა ძლიერი იყოს რიცხვი გერმანელთა ჯარისა, მაინც ლატიშთა მოხალისეთა რიცხვი მატულობს. ეხლა ლატიშელებმა მიიღეს უმაღლეს მთავარსარდლისაგან ნებართვა, რათა მოაწყონ ლატიშთა დრუჟინები, რომელიც შეებრძოლება მტერს (ხანგრძლივი ტაში). რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ომი, ეს პოლკები მხოლოდ მაშინ ჩააგებენ ქარქაშში ხმალს, როცა რუსეთი ბრწყინვალედ გაიმარჯვებს (ტაში). არა ბერლინის სასახლიდან, არა გერმანიის რეიხსტაგიდან მოელიან ლატიშები ბრწყინვალე მომავალს, არა! მათ მტკიცედ სწამთ, რომ მომავალი მათთვის ცარსკოე სელოდან უნდა ამობრწყინდეს, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროდან. მაგრამ ისეო ძალოვან მტრის წინააღმდეგ, როგორიც არის გერმანია, საკმარისი არ არის პატრიოტიზმი, არა კმარა იარაღი, ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველები. საჭიროა, რომ ადგილობრივი მოქალაქენი თავიანთ მდგომარეობაზე მაღლა იდგნენ“. ორატორს საილუსტრაციოდ მოჰყავს მაგალითი, რომ სტრაჟნიკი პოგონებს იგლეჯს და მოხალისედ ეწერება რუსის ლაშქარში; გერმანელთა ქარხნების ადმინისტრაცია აგდებს მოსამსახურეს, ვინაიდან მან ნება მისცა რუსის ჯარებს ღამე გაეთევინებინათ ეზოში. გერმანელთა მზვერავ რაზმებში ვხედავთ გერმანელ კოლონისტებს, მხარზე თოფი გაუდვიათ, ჯიბეში რევოლვერი (ხმები „მოღალატენი, მოღალატენი“). უნდა გამოვტყდეთ, რომ კურლიანდიისა და ლიფლიანდიის საადმინისტრაციო გამგებლობაში ყოველისფერი წესრიგზე არ არის (ხანგრძლივი ტაში). დროა ბალტიის სანაპიროებზე გამართულ კეკემალულობას მოეღოს ბოლო. მათ მთელი ჩვენი ქვეყანა წაჰლეკეს ახალშენებიო. ეხლა დროა ჩამოგვეცალნონ იქ, სადაც რუსეთს უხდება გერმანელებთან შეტაკება. გოლდმანი გაიხსენებს გამოქცეულებს, რომელნიც დაუსრულებელ ჯაჭვსავით მოედინებიან კურლიანდიის გუბერნიიდან. ესენი უმეტეს შემთხვევაში ლატიშელი გლეხები არიან, რომელთაც წამოსვლისათანავე მოსპეს ნათესი, ჭირნახული, სახლკარი ნაცარტუტად გარდაექციეს, რომ მტერს დავლად აღარა დარჩენოდარა. გამოქცეულთა შორის ბევრნი არიან გერმანული გვარისა, დაე, ნურვინ მათ ნუ შეჰხედვენ მტრულის თვალით, ვინაიდან მათ საქმითვე დაამტკიცეს, რომ მათი გული მხურვალედ სცემს საზოგადო საქმისთვის, როგორც თვითეულ თქვენგანისა. (ხანგრძლივი ტაშისცემა).

რამოტი წარსდგა ესტლანდელთა სახელით. იგი აცხადებს, რომ მთელი ეს მხარე მძვინვარე მტრის შემოსევას მარტოდ შეხვდა და ომის მძიმე ტვირთიც ვადაიტანაო. ესტლიანდელები მზად არიან სულ მიწასთან გაასწორონ სამშობლო კერა, რომ მტერს ოდნავი რამ არ დაუტოვონ დავლადაო. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ფერფლიდან კვალად აღსდგება ჩვენი სამშობლო და თავისუფლების სხივით განინათლებაო (ტაში). ესტლიანდელებს სჯერათ, რომ როდესაც მტერი დამარცხებული იქნება, მაშინ ესენიც მიიღებენ თავისუფლებას და შესაფერს რეფორმებს მოახდენენ უწინარეს ყოვლისა სოფლის თვითგამგებლობის მოსაწყობლადაო.

ბარონ ფელკეზარმმა განაცხადა, რომ ბალტიის მხარის გერმანელებზე გავრცელებულმა ცრუ ხმებმა მეტად ცუდი შედეგი იქონია მცხოვრებლებზე, თან ყოველგვარ შეწუხებას აყენებენ. ამიტომ აქაური გერმანელები დოკუმენტებსა ჰკრეფენ თავის გასამართლებლად, რათა დაამტკიცონ, რომ ისინი ღირსეულად იცავენ ხელმწიფე იმპერატორისადმი თავიანთ მოვალეობასაო.

იანუშკევმა ლიტვის დემოკრატიის სახელით განაცხადა, რომ მიუხედავად ათას უბედურობისა, რაიც ომის გამო დაატყდა ამ მხარეს, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა უნდობლად ეპყრობა მათ, უკრძალავს სამშობლო ენაზე ლაპარაკს, სარწმუნოებასაც კი უშლის, ლიტველები მაინც ძველებურად ერთგულნი იქნებიან და მტერს მტრულად დაჰხვდებიან, რათა ადგილობრივი ავტონომია მიიღონო.

კრეინისმა ლატიშელ წარმომადგენელთა, ლიტველებისა, ესტონებისა, სომხებისა, მაჰმადიანებისა და ებრაელების სახელით განაცხადა, რომ საჭიროა ადმინისტრატიული შევიწროებანი მოისპოს, გაუქმებულ იქნეს ერის შემზღუდველი კანონები, რომელნიც დაკავშირებული არიან სარწმუნოებასა და ეროვნებასთანაო.

(შემდეგი იქნება)

სახელმწიფო საბჭო

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან

დურნოვოს სიტყვა. „დრო არ არის დაწვრილებით განვიხილოთ მთავრობის განცხადება. ესეი არაფისა აქვს, რომ ყველას გული მტკივნეულადა თრთის ძძიმე წუთებ[illegible] განცდის გამო. მებრძოლთა ხსოვნა მარად იქნება ჩვენში, ვიდრე დღეგრძელობს სამშობლო ჩვენი. ჩვენი ლაშქარი სამაგიეროს გადაუხდის ვერაგ მტერს. არავის დაავიწყდება მათი უდიდებულესობის დიდი ხელმწიფის სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა ომის გამოცხადების დღეს. ჩვენ ყოველისფერი უნდა ვიღონოთ აღსრულებულ იქმნეს მისი ბრძანება. შემდეგ დურნოვო გაიხსენებს პოლონეთის ბრძოლას, რუს ქალთა გმირულ თავ-განწირულებას და ბოლოს კითხულობს: უნდა ჩვენს თავსვე შევეკითხოთ, რა ვაკეთეთ, ან რას ვშვრებით ომის გამოცხადების დღიდან: მისი აზრით რუსებს არც ერთი ცუდი თვისებათაგანი არ დაუკარგავს. ქალაღდების ხსოვნაში ეძებდნენ და ვერ ჰპოულობდნენ მტერთან მებრძოლ რუსეთს. ეს სულ განათლებული რუსეთის ბრალია. „ჩვენი უმთავრესი ცოდვა ის გახლავთ, რომ ბრძანებისა გვეშინიან. ბრძანების ნაცვლად იძლეოდნენ ცირკულიარებს, იმონებდნენ ბუნდოვან კანონებს და ამასობაში ძალა და უფლება გადადიოდა ისეთის ხელში, რომელიც მართალია ფრიად მტკიცეა, მაგრამ მმართველობისთვის კი დიდად სუსტი. რუსეთში არ არის კაცი, ვინც გაუკადნიერდეს არა თუ ხელმწიფეს, არამედ თვით მის რწმუნებულებასაც კი. შიში თვისთავად ჰზრდის ადამიანს. მთავრობა მოვალე იყო ხალხი აღეზარდა. თუ ასეთი მისწრაფება არ იქნება. არც დიდი ომის მოგება შეიძლება. საჭიროა კალმები გადიყაროს და მთელი მოხელეობა ომში გაიგზავნოსო. ხოლო ახალგაზდა უფროსებს ვასწავლოთ თუ როგორ უნდა მორჩილება, ანუ ბრძანების გაცემა, ან კი თუნდა დაისაჯონ ისინი, ვინც შიშის გამო ცირკულიარებს მიჰმართავენ და უსაქმურად დროს ატარებენ“. შემდეგ დურნოვო ათავებს ასეთ სიტყვით: „უნდა დავივიწყოთ ყოველგვარი რეფორმა და მხოლოდ ომის შესახებ ვიფიქროთ. როდესაც კავკასიაში ვწამლობდი, განცვიფრებით ვკითხულობდი, რომ სხვა და სხვა სამინისტროებში არსდება კომისია, რომელსაც ევალება რაღაცა კითხვების გარკვევაო. ყოველისფერს უნდა გავანებოთ თავი, ყველანი ბრძოლის ველისკენ უნდა გავეშუროთ“!

(გაგრძელება იქნება)

„სახალხოელებს“

(წერილი რედაქციის მიმართ *)

„სახალხო გაზეთის“ რამდენიმე ნომერში დასტამბული იყო წერილები შემდეგი სათაურით: „ჩვენი ჟარგონის პრესა“. თუმცა ეს სათაური ჩემთვის სრულიად გაუგებარია და თვით ავტორი, დარწმუნებული ვარ, ვერავის გააგებინებს, რას ნიშნავს სიტყვა „ჟარგონი“, მაგრამ ამას არ გამოვეკიდები და თვით წერილების შინაარსს შევეხები.

როგორც მუდმივი თანამშრომელი და ერთი ხელმძღვანელთაგანი გაზ. „ზაკ. რეჩისა“, რომლის წინაალმდეგ იყო ამ ხედრებული ზემოხსენებულ წერილების ავტორი, მე სხვა და სხვა მიზეზების გამო საჭიროთ არ მიმაჩნია „სახალხო გაზეთთან“ პოლემიკა რუსულ გაზეთში და ამიტომ ვთხოვ პატივცემულ „საქართველოს“ რედაქციას ადგილი დაუთმოს თავის ფურცლებზე ამ ჩემს საპასუხო წერილს.

„სახალხო გაზეთში“ დასტამბული წერილები წარმოადგენენ ერთგვარ საბრალმდებლო ოქმს გაზ. „ზაკ. რეჩის“ წინაალმდეგ, რომელიც ვითომ ქართველების ზნეობრივ და გონებრივ გადაგვარებას ხელს უწყობდეს.

ღრმად ჩავუკვირდეთ ამ საკითხს და გადავწყვიტოთ, არგებს თუ ავნებს ქართულ საქმეს, რომ ქ. თბილისში ერთი რუსული გაზეთი მაინც გამოდიოდეს ქართველების თაოსნობით და არა პალმისა, ხაჩატუროვისა და სემიონოვის მეთაურობით.

დაე, ეს კითხვაც სადაოდ იყოს აღიარებული, მაგრამ იმ გარემოებას ხომ უნდა რაიმე ანგარიში გაეწიოს, რომ ჩვენი მართველობა, მსაჯულება, სწავლა-განათლება, აღებ-მიცემობა და მთელი ცხოვრება ისეთი პირების ხელში იმყოფება, ვისაც ქართული არ ესმის. და თუ ქართული საქმის და ქართველების ბედი ოდნავ მაინც გვაინტერესებს, ნუ თუ მოვალენი არა ვართ რუსულ ენაზედაც ვწეროთ ამ ცხოვრების ბრუნვაზე, ჩვენ ჰირ-ვარამზე და სხვა?..

ვინც ქართულ მწერლობას თვალს ადევნებს იმას, რასაკვირველია, ეცოდინება, რომ ეს საკითხი დიდი ხანია უკვე გადაწყდა იმგვარად, როგორც ამას მამულის ურყეველი საჭიროება მოითხოვდა.

ვისი ბრალია, რომ „სახალხოელები“ არ ეცნობიან სრულიად არც ჩვენს წარსულ ისტორიას, არც ქართულ მწერლობას და კარჩაკეტილნი მუდამ თავისას გაიძახიან.

ზემოხსენებული საკითხი კი ორმოც წელზე მეტია რაც ქართულმა მწერლობამ წამოაყენა და ამგვარად გადასწყვიტა: ვისაც ქართველი ხალხი უყვარს და მისთვის გული სტკივა, მან უნდა ქართველებისთვის ქართულ ენაზე სწეროს და რუსებისთვის რუსულ ენაზეო. საქმეები, რომლის ბედი და გადაწყვეტა ქართველების ხელშია, ქართულ ენაზე უნდა ირჩეოდენ და ყოველი საქმე, რომელიც რუსულ საზოგადოებაზე და მთავრობაზეა დამოკიდებული, რუსულ ენაზე. სანამ საქართველოს ბედ-იღბალი რუსეთთან არის შედუღებული, ამ გზას ვერავინ ვერ აუხვევს და სხვაფრივ გადაწყვეტა წამოყენებულ საკითხისა შეუძლებელი და თანაც ძლიერ მავნებელია ჩვენი ნაციონალურ ინტერესებისათვის.

ამის შეუგნებლობა ზნეობრივ და გონებრივ სიღატაკეს უნდა ამტკიცებდეს და სხვას არასფერს.

„სახალხოელების“ დამახასიათებლად მეტად საგულისხმოა ის მოვლენა, რომ ამ საკითხის ჯიჯგნას ისინი მაშინ შეუდგნენ, როცა მთელი ქვეყანა ჰქუხს და ინგრევა, როცა ყოველი შეგნებული პატარა ერი ცდილობს როგორმე შეჯგუფდეს და ერთობა დაამყაროს.

საგულისხმოა ამასთან ის მოვლენაც, რომ „სახალხოელებმა“ გაზ. „ზაკ. რეჩს“ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს სწორედ მაშინ, როცა გამოვიდა გაზ. „საქართველო“.

რა უნდა დააკლოს ახალმა გაზეთმა „სახალხოელებს“, თუ უკანასკნელნი გულწრფელად დარწმუნებული არიან, რომ მათ და მხოლოდ მათ აქვთ მჭიდროდ ფესვებ[illegible] ჩვენ ხალხში და მათი, მხოლოდ მათი პროგრამა ასულდგმულებს და აკმაყოფილებს ქართველერს?

და თუ ეს ასე არ არის და თუ „სახალხოელებს“ ამ მხრივ რაიმე ეჭვი შეჰპარვიათ, ქართველ ხალხში ყოველივე ნიადაგი დაჰკარგვიათ, ისინი მოხარული უნდა იყვნენ, რომ ჩვენი ხალხი გამოღვიძებულია.

ჩვენი ერის დღევანდელი უკმაყოფილება, „სახალხო გაზეთი“-სადმი გადაგვარების კი არა, წარმატების ნიშნად უნდა ვაღიაროთ.

იზრდება ხალხი, ფიქრობს ცხოვრების ტრიალზე, თავის სახსარზე და საჭიროებაზე, მის ზრდას თანასწორად უნდა შევეცადოთ ქართული მწერლობაც გავაუმჯობესოთ, თუ გვსურს ხალხთან მკვიდრი კავშირი შევირჩინოთ. ამ ჟამად ქართულ მწერლობაში მხოლოდ წარჩინებულ ჰკუის და ნამუსის პატრონს შეუძლიან გავლენა მოიპოვოს ჩვენს ერზე და ეს მოვლენა ყოველ გულწრფელ მოღვაწეს, ყოველ პატიოსან მამულის შვილს სიამაყით უნდა უსვებდეს გულს და არა წყრომით და ცილწრო, პირადი შურის ძიებით.

„სახალხოელები“ თავისივე პირით თავს ილანძღავენ—ჩვენი ქართული გაზეთი ხალხში აღარ გადისო და მკითხველ საზოგადოებას შესტირიან. მე არც სურვილი და არც ღონე შემწევს „სახალხოელებს“ თვალზე ცრემლი შეუშრო. იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენი ერი იმყოფება ამ ჟამად „სახალხოელების“ წყალობით, იგი ვეღარ აიტანს თავის არსებობისთვის ბრძოლას. ერი ვეღარ გასძლებს, თუ მას გონიერი მწერლობა არ წინამძღვრობს. აამაღლეთ ქართული ბეჭდვითი სიტყვა შინაარსისა და პირნათლობის გაუმჯობესებით, შესცვალეთ ის თქვენი დროშა, რომელიც ჩვენი ცხოვრების და ერისათვის უნიადაგო და მავნებელი შეიქმნა და,—მერწმუნეთ—რუსული პრესსა თქვენ ვერას გაგნებთ. ქართულ პრესას—ამ ერთად-ერთს ჩვენს წმინდათა-წმინდას—ნუ ხდით მცირე ჯგუფის სარბიელად, და მერწმუნეთ, რომ არც ერთი ახალი გაზეთი, რა ენაზედაც უნდა გამოვიდეს იგი, თქვენ ვერას გავნებთ. გონებრივ და ზნეობრივ გადაგვარების წამალი მხოლოდ ეს იქნება. ეს გახლავთ ჩემი რწმენა და ამ ჩემი რწმენის აუცილებელ გამარჯვებაზე სრულიად დარწმუნებული ვარ. ვიცი, რომ ფუჭი მიმართულება და უნიადაგო ოცნება „სახალხოელებისა“ თოვლივით გაჰქრება და ჰეშმარიტება ადრე თუ მალე თავს იჩენს...

მე ამ ჩემს წერილში არ შევეხები „სახალხოელების“ მოღვაწეობას საზოგადოთ.

მე მსურს ამ ჟამად მხოლოდ იმ საგანზედ ვილაპარაკო, რომელიც „სახალხო გაზეთმა“ წამოაყენა და ასე მსუბუქად გადასჭრა.

ან კი შესაძლებელია, რომ „სახალხოელები“ ასე გულუბრყვილოდ სჯიდნენ ზემოხსენებულ საკითხის შესახებ?

მე არამგონია, რომ აზრი, გამოქვეყნებული „სახალხო გაზეთში“ რუსის პრესის წინააღმდეგ, „სახალხოელების“ რწმენას შეადგენდეს.

ქართველ საზოგადოებამ კარგათ იცის, რომ „სახალხო გაზეთში“ განისვენებს ერთი პატარა პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგანან წარჩინებული მოღვაწენი: ბ.ბ. გ. ლ—შვილი და კ. ა—ძე.

ამ პირებისგან ჯერ არ გაგვიგონია, რომ ისინი ყოველ შემთხვევაში და ყოველ პირობებში არ თანაუგრძნობდენ „სახალხო გაზეთს“ და მის პროგრამას არ იზიარებდენ. გვიპასუხოს „სახალხომ“, რითი აიხსნება ის გარემოება, რომ სწორედ იმ ხანებში როდესაც ზემოხსენებული გაზეთი სასტიკ ბრძოლას უწევდა ადგილობრივ რუსულ პრესას, ბბ. გ. ლ—შვილი და კ. ა—იძე ქ. ბაქოში წაბრძანდენ და იქ დიდ აგიტაციას ეწეოდენ ფულის შესაკრებად, რომ **რუსული ახალი ორგანო გამოეცად** ქ. თბილისში?

ეს პირები ხმარობდენ ყოველგვარ ღონისძიებას, რათა ბაქოელი მაჰმადიანები დაერწმუნებიათ, რომ ქ. თბილისში აუცილებლად საჭიროა სწორეთ რუსული გაზეთი და ამ მიზნით მათ ბაქოს საზოგადოებას საგანგებოდ თბილისიდან წაყვანილი რუსი წარუდგინეს, ბ. დ—ვსკი, როგორც რედაქტორი მომავალი რუსულ გაზეთისა.

ბაქოელი მაჰმადიანები ძლიერ შეაწუხა იმ გარემოებამ, რომ ზემოხსენებულ

*) ვებეჭდავთ ამ წერილს, რადგან მეტად საგულისხმოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ თურმე იმ დროს, როცა „სახალხო“ მედგრად ამხედრდა წინააღმდეგ ჩვენებურ რუსულ პრესისა საერთოდ, და „ზაკ. რეჩისა“ კერძოდ, „სახალხოელთა“ ორი საუკეთესო წარმომადგენელი და ბელადი ბაქოში საქმეს აწყობდნენ... რუსულ გაზეთის გამოსაცემად. პასუხისმგებელი ამ ცნობისა თვით ავტორია ზემოდ დაბეჭდილ წერილისა. **რედაქცია.**

პირებმა ყოველ მხრივ „შეამკეს“ გაზ. „ზაკ. რეჩი“, რომელსაც სათავეში მათი მოძმე ქართველები უდგანან...

რა შედეგიც მოჰყვა ამ ვაჟბატონების ცდას, დღე თვითონ „სახალხომ“ მოახსენოს მკითხველებს.

და თუ საჭიროება მოითხოვს, ჩვენ შეგვიძლიან ბაქოელი საზოგადოება ავალაპარაკოთ იმის შესახებ, თუ რითი გათავდა ზემოხსენებულ პირების ბაქოში ჩასვლა.

მაგრამ ამაზედ ლაპარაკი შემდეგ იყოს. ჯერ-ჯერობით კი დიდათ საგულისხმოა მოყვანილი ფაქტი და „სახალხოელების“ აზროვნება.

სჩანს, რომ არც ქართული და არც რუსული გაზეთი ურიგო არ არის, თუ მათ სათავეში „სახალხოელები“ ჩაუდგებიან.

თ-დი გ. ამირეჯიბი.

გზა და გზა

გაქუცული სერგო.

ნეტარხსენებულ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის ღვიძლი ძმა გახლავთ იგი. მისი პიროვნება გზა და გზა გავიცანი.

საქმე ის იყო, რომ კახეთის სიმდიდრემ, განსაკუთრებით ქიზიყისამ სიამოვნებით ამავსო, ვფიქრობდი, არც ისე წამხდარნი ვართ, რომ მტერს და დუშმანს თვალი არ დაუყენოთ მეთქი. მახარებდა ჩვენი ქვეყნის ამ კუთხის ასეთი სიმდიდრე. თვითეული დღე უფრო მეტს წყურვილს მიმატებდა დიდხანს დავრჩენილიყავი კახეთში, დღითი-დღე ჩვენს მარშრუტს ახალ-ახალი სოფლები ემატებოდა. აი, სიღნაღიდან დაბრუნებისას წნორის წყალზე მოგვიხდა ღამის თევა. აქ გადავწყვიტეთ, მეორე დღეს წავსულიყავით ჯუგაანში, გვენახა მაჩხაანი, შემდეგ ხირსა და მისი დიდებული ტაძარი, გავსულიყავით გალმა და ლაგოდეხის ხეობაც მოგვევლო, მაგრამ... შემდეგი პროექტი მხოლოდ დაუსრულებელ სურვილად დარჩა, რადგან თბილისისკენ მოვეშურებოდი: მაჩქარებდნენ. რა ღმერთი გაგიწყრა, აქობამდის რატომ არ მოჰხედავ შენს სავალდებულო საქმესაო. ამას დაერთო წნორის წყლის ჰაერის სიმძაფრე: იმ ღამესვე ავად გამხადა და მოგზაურობის ხალისი დამიკარგა.

მეორე დღეს მხოლოდ მიდამოების დათვალიერებით დავკმაყოფილდი, ქიზიყის აქეთა ნაწილი ნაყოფიერია. მომხიბლა თამბაქოს მრავალმა პლანტაციებმა. აი, ხელუხლებელი სიმდიდრე, აი პრიმიტიული ქვეყანა რას არ იძლევა. მიეც ამ ხალხს განათლება, ასწავლე მიწის მოვლა, მიწის კულტურა, ქვეყანა აყვავდება, ქვეყანა სიმდიდრის შადრევნით იწყებს ჩქეფას.

— ამ სიმდიდრის პატრონთ ჩიტის რძის შოვნაც არ გაუჭირდებათ.—სიამოვნებით გამოვეხმაურე ჩემს მეგობარს.

— დიახაც, მაგრამ...

საზოგადოდ მეჯავრება, როცა საუბარში თუ მწერლობაში ეს სატიალო „მაგრამი“ ჯოჯოხეთის მაშხალასავით შემოახჩოლებს ხოლმე. გულში გამკენწლა.

— მაგრამ?...

— მაგარიც ის არის, ჩემო კარგო, რომ ქიზიყელები ამ სიმდიდრის მიუხედავად მეტად ღარიბნი არიან.

— როგორ?

— ეს სულ უბრალოდ აიხსნება. ქიზიყიც, როგორც საზოგადოდ მთელი კახეთი, ვალშია ჩავარდნილი. არ არის მტკაველა მიწა, რომ დაგირავებული არ იყოს. თქვენი ბედნიერი თვალით რომ გადაჰხედოთ საგიროვნებო სტატისტიკას, იქნებ მაშინ ეჭვი აღარ შეიტანოთ ჩემს ნათქვამში. ფაქტიურად ქიზიყის სიმდიდრე, როგორც მთელი კახეთისა, სომხების ხელშია. აი, რა ერთი ხანია აღტაცებით შეჰხარით ამ პლანტაციებს, გინდათ, კიდევ შემოვიაროთ ველ-მინდორი, გსურთ მთელს ამ ქვეყნის სიმდიდრეს გაეცნოთ. მართლაც, ყოველი ეს დიდებულია. მაგრამ რას ეაქნევ სიმდიდრეს, თუ კი გაქუცული სერგონი გამომტაცებენ და...

— როგორ თუ გაქუცული სერგონი?...

— ნუ ჩქარობთ. ეს ერთი გაღატაკებული ჩარჩოთაგანი იყო. მას მეტ სახელად გაქუცულს უძახოდნენ. დედილშობილას სახლი არ მოეპოვებოდა და კარი, მატანტალას კარს არავინ არ გაუღებდა, მაგრამ მოხდა სასწაული, გაქუცული გაძვრა-გამოძვრა, ფეხი ნიადაგზე მოიკიდა და დღეს მთელი ამ მხარის სიმდიდრე მის ხელთ არის. სავალალო კიდევ ის არის, რომ მთელ ამ პლანტაციების დამუშავება მოხვეჭაში მას ქარველი აგენტებივე უწყობენ ხელსა. ეხლა ეს მისი სამბრძანებელოა. სიღნაღში რეზიდენცია დაიარსა და აქ კიდევ ყველას ბდღვირს ადენს. აბა, ბიჭი ხართ და თუნდა ფულით მოინდომებთ მოახერხოთ, შეაჩეროთ მისი ვაჭრობა და ეს პლანტაციები ახლა თქვენს ხელში გადიტანოთ. ეს არ მოჰხდება, არ მოხდება იმიტომ, რომ სერგო არ ისურვებს, და ამ გაქუცულის სურვილი მთელი ამ მხარის სუვერენული სურვილია! ხალხი უმაგისოდ ვერ გასძლებს, ხალხი დამოკიდებულია, მის ქსელში თავ-ფეხიანად გაბმულია და მოგეხსენებათ, მის ჭირში და ვაების ქსელში გაბმა ყოველთვის ადვილია, ვიდრე გამოხსნა. აი, ამიტომ არის, რომ აქეთ გამოვლა არ მომიხარიან... ყოველთვის ნაღველი მერევა, ეს თვალწარმტაცი უხვი ბუნება მოქვითინედ მომეჩვენება ხოლმე.

წნორის წყალზე დავათვალიერე ნავთისა და შეშის საწყობები. ნავთისა გუნცაძეს ეკუთვნის, შეშისა რაჟდენ ჯაფარიძეს. ერთი შეხედვით თქვენ კმაყოფილებას ჰგრძნობთ. წნორის წყალი, როგორც ერთი თვალსაჩინო პუნქტთაგანი, ვაჭრობის მხრივ რკინის გზის გაყვანის შემდეგ მთელ ამ მხარის სოფლებს ასაზრდოებს. მარტო ეს ნავთი რად არა ღირს, რომ სიღნაღიც კი გააბათილა და სოფლელებმა აქედან დაიწყეს ზიდვა. რაც შეეხება შეშას... ეს სასიხარულოს არას ამბობს. გავეცან თვით ჯაფარიძეს. მთელი ამ მხარის შეშა მას აუღია ფოდრატით. ვიდრე საქმეს დაიწყებდა, მას 40 ათასი მანეთი ეჭირვებოდა წარმოების გასაჩაღებლად.

— მაგრამ, რაღა ვთქვა, ქართველ ვისაც მივმართე, ყველამ უარი მითხრა. ავდექ, ისევ თბილისის სომხებს გავამართვინე ხელი. დღეს ფული მათია, სახელი ჩემი. მე ვყიდულობ აქ შეშას, ბიჭები ჩემები არიან და აქედანვე ვაგზავნი თბილისში მათს სახელობაზე.

როგორ მოგწონთ? შეშა ჩვენი, მუშები ჩვენი, შრომა ჩვენი და სახრავი ყოველთვის **მათი**! მოდი და ნუ მოგიკვდება გული! უხვი ბუნების ჯილდო ჩვენთვის უქმადა რჩება, ჩვენათ ყოველთვის **ისინი** სარგებლობენ, **ისინი** მდიდრდებიან და ამავე დროს ვტირით და ვვაღალებთ, ღარიბნი ვართო! აბა ჩვენც დავირაზმოთ, ავამოძრაოთ გარჯილობა, გამოვიჩინოთ ფხა და დავინახავთ, რომ არც ისე ბედ გამწყრალები ვართ, როგორც გვგონია და ჰქონიათ სხვებს, მაშინ დავინახავთ, რომ გაქუცული სერგონი კვლავ გაქუცულნი დარჩებიან და სიმდიდრე პატრონს დაუბრუნდება, კვლავ მას გაახარებს. მაგრამ ვიდრე ამას მივაღწევთ, საჭიროა ქართველის მხრივ გონება ადრე და მალე ამოძრავდეს.

მშვიდობით!

ეჰა, მშვიდობით, მშვიდობით! თურმე ასე ყოფილა, ყოველი ბედნიერი წუთი სწრაფად გაჰქრეს. სწრაფადვე განვლო ჩემმა სიამის კალენდარმა, მაგრამ ყოველი მისი ფურცელი უაღრეს მოგონებით აღიბეჭდა ამ ჩემს გულში. განა შეიძლება აიწეროს ის გრძნობა, ის სიხარული, რაიც არც თქმულა, არც გაკეთებულა, არც თუ როდისმე მიფიქრია, რომ მას როდისმე ვიხილავდი, პირისპირ შევხედავდი მომცინარე სახეში და მასთან ერთად მივეშურებოდი უცნობ და უცნაურ მხარისაკენ, სადაც მიეშურება თვით მსოფლიოს ბედის ხომალდი! ვდგებოდი დილა ადრიან, თითქმის უთენიებ, რომ განთიადისათვის აგზნებულ ვარდის ფერ თვალებში მეყურნა. ეს იყო უაღრესი ბედნიერება! ვეხეტებოდი ტყე და ღრეში, მაინც ბედნიერი ვიყავი; უსაქმოდ ვიჯექ ბაღში, ვკითხულობდი, ვკრებდი ყვავილებს, ხის ნაყოფსა, დავეხეტებოდი სოფლიდან სოფლად, მინდვრიდან ველად, ველიდან ტყეში—ბედნიერება თან დამყვებოდა, როგორც სიამოვნების ანარეკლი! იგი არ გამოიხატებოდა რაიმე განსაზღვრულ საგანში, უაღრესად ჩემთან დაჰფრენდა, ჩემს გულშივე დაესადგურებინა, მხოლოდ წუთით თუ მომშორდებოდა და მელანქოლიის ფრთას შემომკრავდა, როდესაც რაიმე ზოგად ბედის შავებნელ ხაზებს დავინახავდი, თორემ სხვაფრივ ბედნიერება და მე ერთად მივილტვოდით, ხელი-ხელს გვქონდა გადაკიდული და მივიმღეროდით უცნაურ ველისკენ, სადაც ნისავი, ატომთა ჩურჩული, ქმნილებათ გვირგვინის ტახტრევანი ეს დედამიწა, მსოფლიო, ცანი, სამეფონი და სხივთა-სხივნი ზმანების სამთავროში მაგრძნობინებდა თავს, სადაც ღვთაება თავისთავად იზიდებოდა, სიზმარი ფიქრად ცხადდებოდა, ხოლო დუმილი მის მეუფების ნარნარ ხმებად შემესმებოდა! ალაზნის ველი,—ეს ხომ ღვთაების წალკოტია! გომბორი, ცივი,—ეს ხომ სინაა, კურთხევის მთა! მჩქეფარე ტაღღები ალაზნისა,—ეს ხომ ეფრატის ღვთაებრივ ზვირთთა თამაშია! იხილეთ სიდიადე სანახაობისა, უმალ თქვენ გარდიქმნებით უსახელო არსად, უსახელო ქმნილების მოდელად, რასაც ღვთაება თვით დააწერს თავის სახელსა: ღმერთი ხარ თვით შენ!

აი, დაჰკრა ჟამმა და ოცნების სამთავროც ინგრევა. მატარებლის წივილი ანგრევს სიამის სამეფოს, განცდილის საძოწეულო მშვენიერებას, კეკლუცთა დახუჭუჭებულ თმასავით მომაცდუნებელ სიტკბოებას! სათუთი გრძნობა მჭმუნვარების მანდილით იმოსება, მიჰჭრიხართ შორ-შორს, და, რამდენიც თვალს ეფარება წალკოტი იგი, იმდენად გული მიეცემა დაღონებასა.

— მშვიდობით, მშვიდობით საღმუნების წმინდა აკვანო,—ვჩურჩულებდი, როდესაც მატარებელმა თვალს მიაფარა იგი და ოცნების ველად დასტოვა,—მშვიდობით, მშვენიერო კახეთო, მშვიდობით! გწამდეს, ხსოვნა შენი მარადად დარჩება ჩემთან, შენი სახე, შენი მჭმუნვარება, შენი კისკისი, შენი ტანჯვა, შენი ძახილი ყურს მწვდება, გულის ფიცარზე აღნიშნა ცეცხლის კალმითა. მივალ, გშორდები... აჰა, კიდეც გარდაველ საზღვარს... შორსა ვარ, მაგრამ „ყურს ბიბინი ალაზნის ესმის!“

იყავ კურთხეულ!
მშვიდობით!

დ. კასრაძე.

ახალი ამბავი

◆ **კახეთის რკინის გზა.** გუშინ დილით კახეთის რკინის გზის ლიანდაგზე გაემართა მინისტრის მიერ დანიშნული საგანგებო კომისია, რომელმაც ეს გზა უნდა შეამოწმოს და ქართველ თავადაზნაურობას გადასცეს საექსპლოატაციოდ. კომისიის თავმჯდომარედ არის დანიშნული ინჟ. ლ. მ. ლანგოდა, ხოლო წევრებად ინჟინრები კურდიუმოვი და რაციბორსკი, კონტროლიორი ლუტკოვსკი, გზის ეხლანდელი გამგეობის წევრი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი და მომავალი გამგე გზისა თავ. გ. პ. თუმანიშვილი. გზის დათვალიერება და შემოწმება ერთ თვეზე მეტს გასტანს.

◆ **იყალთოს მამული.** ქართულ საოსფლო სამეურნეო საზოგადოებას აქვს სოფ. იყალთოში (თელავის მაზრა) საკუთარი მამული, საცა გაშენებულია საცდელი ვენახი, ამერიკული ვაზის სანერგე, უჯიშოების („დიჩკი“) სანერგე და ხეხილის ბაღი. ამ მამულს აშენებს და განაგებს ინსტოუქტორი გ. ს. ნახუცრიშვილი. ეს მამული ამ დღეებში დაათვალიერეს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანმა ვ. ი. რცხილაძემ და კონდოლის სანერგეს გამგემ ბ-ნმა ა. კუპრეევმა და იგი წესიერად მოვლილი ნახეს.

◆ **თანამდებობიდან დათხოვნა.** მერვე ნაწილის ბოქაული ბ-ნი დუმბაძე სამსახურიდან გასულა. მის ადგილას დროებით დაუნიშნავთ ბ-ნი სევჩუკი.

◆ **ქუთაისიდან** გვატყობინებენ, რომ ვოლგა-კამის ბანკის აქაური განყოფილების გამგე ბ-ნი კოლოკოვსკი ამავე თანამდებობაზე განჯას გადაიყვანეს.

◆ **კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება ექნება. განსახილველია საკითხი ატენის მამულის შესახებ და მორიგი საქმეები.

◆ **ღვინის მოსავალი.** როგორც მცოდნე კაცებმა გადმოგვცეს, ზემო კახეთში წელს ღვინის მოსავალი ძალიან ცოტა იქნება. მიზეზი არის უწვიმლობა და ნოტიოიანი ამინდი.

◆ **„ახალი კვალის შეჩერება“.** ყოველკვირეული გაზეთი „ახალი კვალი“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა, ქალაქის უქონლობის გამო დროებით შეჩერებულა.

◆ **ვ. ი. რცხილაძე,** მდივანი ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა და მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტისა თბილისს დაბრუნდა კახეთიდან, სადაც იგი მონაწილეობას ღებულობდა კომისიაში კონდოლის სახელმწიფო სანერგისა და მდ. კისისხევის დათვალიერების დროს.

◆ **საგურამოს მამული.** 21 ივლისს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას თათბირი ჰქონდა ილია ჭავჭავაძისეულ საგურამოს მამულის უკეთ მოვლა-პატრონობის შესახებ და დაადგინა სთხოვოს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შეადგინოს გეგმა ამ მამულის მოვლა-მოშენებისა და ექსპლოატაციისა. ამავე კრებაზე დადგენილ იქნება, რომ ხსენებულ მამულის მოჯარადრეს ბ-ნ მამულაშვილს იჯარის ფული შეუმცირდეს, ე. ი. ნაცვლად 2200 მანეთისა გადახდეს წლიურად 1500 მან.

◆ კავკასიის სამხედრო ოლქის ლეიტენანტის პოროშინს უმაღლესად ებრძანა კავკასიის ოლქის რკინის გზის უფროსად იქნეს დანიშნული.

◆ **ავაზაკებთან ბრძოლა.** როგორც გვატყობინებენ, სიღნაღის საერობო დარაჯს ცნობა მისვლია, რომ ცნობილი ყაჩაღი მელუდაშვილი, „ხოხობად“ წოდებული, თავისი ამხანაგებით სოფ. არაშენდაში იმალებაო. რამდენიმე დარაჯი მაშინვე წასულა ხსენებულ ადგილას და სოფლის გარშემო ჩასაფრებულან. ამ დროს დარაჯებს გზაზე სამი კაცი შეუნიშნავთ, რომელნიც მინდვრის მუშები ჰგონებიათ და შეუძახნიათ—ვინა ხართ! შეძახებაზე ყაჩაღებს სროლა აუტეხნიათ; დარაჯებსაც სროლითვე უპასუხნიათ. დარაჯს კოჭლამაზიშვილს შეუნიშნავს, რომ ერთი ყაჩაღთაგანი წაიქცა. დაჭრილი რომ არ მიმალულიყო, დარაჯი კოჭლამაზიშვილი იმისაკენ გაქცეულა დასაჭერად, მაგრამ ამ დროს მუცელში ტყვია მოხვედრია. დანარჩენ დარაჯებს დაჭრილი ყაჩაღი იქვე მოუკლავთ, მეორეც დაუჭრიათ, რომელიც მეორე დღეს გომურში უპოვნიათ, ხოლო მესამე მიმალულა. დაჭრილი კოჭლამაზიშვილი გზაში გარდაცვლილა.

ლიუბლინთან

ზამთრის თვეებში დღმილის დროს თურმე გერმანია გულხელდაკრეფილი არა მჯდარა. ვარშავა-პარიჟთან დამარცხებისთანავე გერმანია ენკენისთვის დასაწყისშივე შეუდგა იმ სამრეწველო მობილიზაციას, რასაც რუსები მხოლოდ ეხლა ახდენენ. სამხედრო ენერგია მთელ ამ მიყუჩებულ პერიოდში მხოლოდ კრუპმა გამოიჩინა.

ფრანკ—პრუსიის ომის შემდეგ საზოგადოდ ამბობენ ხოლმე, რომ სამოცდაათიან წლეებში საფრანგეთი მისმა სკოლის მასწავლებელმა დაამარცხა. ამ ომის შემდეგ უეჭველია იტყვიან, რომ ომის ღმერთად გამოვიდნენ არა ვილჰელმი, ჰინდენბურგი, ანუ მაკენზენი, არამედ კრუპის ქარხნები. და მართლაც, ვინ აიღო ლიეჟი და ანტვერპენი? კრუპის ქარხნებმა. ვინ გამოგვრეკა გალიციიდან? კრუპის ქარხნებმა... ვინა გვდევნიდა გალიციის საზღვრებიდან კრასნოვატამდე, ლიუბლინ-ხოლმის გუბერნიათა კუთხეში? არა ვილჰელმი, არც თუ მაკენზენი, არა გერმანელთა გენიალური შტაბი, არც თუ გერმანელ ჯარისკაცთა გმირობა, არამედ იგივე კრუპის ქარხნები. საკმარისია გავიხსენოთ როგორი ძლევამოსილებით მოდიოდნენ გერმანელები გალიციაში მხოლოდ და მხოლოდ საზარელ სიკვდილის ცეცხლის კედელით, რაიც ათასხუთას ზარბაზანს მოჰქონდა თანა. ამის მიზეზი იყო არა მაკენზენის ჯართა შემოტევა, არა მათ რკინის დისციპლინის წყალობა არამედ კრუპის ქარხნების სიძლიერე. რუსის მამაც ჯარებს ხშირად უხდებოდათ ხოლმე ბრძოლის ხაზის გარღვევა და გადალახვა სიკვდილის მანჭანათა საზღვრებისა, მაგრამ რას იზამდნენ, რომ წინ ახალ-ახალი კედელი უხვდებოდათ! ეს მანქანები მთელს ბრძოლის ხაზზე ისეა გამწკრივებული, რომ მის მოიერიშეებს წინ უყენებდნენ ხშირად 300—360 ტყვიის მფრქვეველს, ერთი სიტყვით, თვითეულ რუს ისსამ ჯარისკაცზე გერმანელს განსაკუთრებული ზარბაზანი ანუ ტყვიის მფრქვეველი ედგათ.

ბრძოლის დროს გერმანელთა მხრივ ტყვიისმფრქვეველთა და ზარბაზნების ერთგვარი ორომტრიალი იყო. მოწინავე ხაზზე, შემდეგ მიყოლებით ასი და ათასი ტყვიისმფრქვეველია ზარბაზნებით გადახლართული. ტყეში ხეებზე წინდაწინ გაუწყვიათ ეს ჯოჯოხეთური მანქანები. ღამღამობით კარგა მანძილზე მოათრევენ მათ და ზედ თხრილების პირზე აჩერებენ. როდის, ან რა ადგილას აწყობენ, არავინ იცის. ხშირად მოხდება, რომ რუსების იერიშების დროს თითქოს მიწიდან ამოძვრენო შუბლიდან, უკანიდან, გვერდიდან თუ მიწის ქვეშ ყოველ მხრიდან შეუწყვეტლივ ისვრიან, ხშირად მომხდარა ისიც, რომ რუსებს მთელი ოთხი წყება თხრილები გადაუღახიათ, ისე მოსჩანდა, თითქოს ეშველათ, ეხლა საფრთხე აღარა მოელისთ რაო, მაგრამ არ გავიდოდა წუთი, რომ რაღაცა მანქანებით წინ წასულთ ზურგიდან მოევლინებოდნენ და საშუალებას აღარ აძლევდნენ, [illegible] დაჰბრუნებოდნენ ძველს პოზიციებზე.

როდესაც გერმანელები ვისლის მარჯვენა ნაპირით წამოვიდნენ და ვარშავას ივანგოროდის ციხისა და ნოვოგიორგიევსკითურთ დაუწყეს შემოვლა, მათ პირველ მიზნად დაისახეს ლიუბლინი და ხოლმი. ამ მხარის უგზოობის გამო ავსტრო-გერმანელები გალიციიდან გადმოსვლისთანავე შეეცადნენ გეზი რკინის გზებისკენ დაეჭირათ. მაგრამ ზამოსტიედან მოყოლებული კრასნოვკა, პიასკალიუბლინამდე მხოლოდ რკინის გზის ერთი შტოა. მხოლოდ ლიუბლინიდან მიდის სხვა და სხვა მხრით რკინის გზა. ამიტომ გერმანელები, ასე ვსთქვათ, შარა გზაზე გამოიჯრნენ. ლიუბლინისკენ მათი წამოსვლის ხასიათი შეუწყვეტელი იერიშები იყო. მებრძოლთა რაოდენობა, იარაღი, სურსათი, ერთი სიტყვით, მათ ყოველისფერი წვრილმანამდე გამოეანგარიშებინათ, რომ არსად დაბრკოლება არ ჰქონიყოთ და სწრაფად განევრძოთ ერთხელვე დაჭერილი გეზი.

მოიერიშე ლაშქარი საუკეთესო ჯარებისაგან შესდგება. აქ არის, მაგალითად, ვილჰელმის გვარდია. აფიცრობაც სულ რჩეული ხალხია. ჯარები დაყოფილია მორიგ ნაწილებად. ეს ნაწილები თავ-თავის დროზე იცვლებიან. მოიერიშენი მუდამ წინ მოდიან. თითქოს მუდამ ცეცხლის ალში დატრიალებენ: ხან რუსების გამუდმებულ იერიშებს იგერებენ, ხან კიდევ თვითვე მიდიან იერიშით. რუსები ლიუბლინის გუბერნიის სიღრმეში იხევენ, მაგრამ თვითეულ მტკაველა მიწას კბილით აგლეჯინებენ მტერს. გერმანელები მორიგეობით იბრძვიან. წინ მოლაშქრენი როცა იბრძვიან, უკანანი ისვენებენ, ორ-სამ დღის შემდეგ ახლა ესენი გადადიან წინა რიგებში, ხოლო ვინც იბრძოდნენ, ისინი უკან გადმოჰყავთ და ასვენებენ. ამიტომ წინ მუდამ დასვენებული ჯარი ჰყავთ, მათ სუმბუჭად აცვიათ, თვით ხიშტებიც კი მოხსნილი აქვთ თოფებიდან. წელზე არ არტყიათ დასამძიმებელი იარაღი. ეს სულ უკან მოაქვთ და რიგზე აშველებენ, ხიშტებს მხოლოდ ის ნაწილი იკეთებს, ვინც საიერიშოდ გაემზადება. ამ ნაწილს ყოველისფერი მოაქვს თან, თვით ტყვიისმფრქვეველებსაც კი ესენი მოათრევენ, არ ჰსაჭიროებენ ცხენებს. თხრილებსაც სუმბუჭად აკეთებენ. მაკენზენის ლაშქარი არ ჰსაჭიროებს ჰინდენბურგის ლაშქრის მძიმე თხრილებს. არც თუ სჭირიათ. მათ ხანგრძლივი ომისთვის სჭიროდათ, ესენი კი ხელის-სანაცვლოდ ხმარობენ. ისიც მხოლოდ ბატარეების წინ აკეთებენ თხრილებს. ისვრიან, საჩქაროდ გასწევ-გამოსწევენ და ხელად ადგილს გადმოინაცვლებენ წინ. თხრილებში ჯდომა მაკენზენს დაკარგულ დროდ მიაჩნია. შეუჩერებლივ წინსვლა,—აი რას ბრძანებს მაკენზენი, მოწინავე ჯარს, მებრძოლს, ცხელ საჭმელებისთვის არ აცლის. ეგ დროს წაგართმევთო. სამი-ოთხი დღით მას მშრალ საჭმლით დასტვირთავენ და მხოლოდ მაშინ აღირსებენ წვნიან და ცხელ საჭმელს, როცა შესცვლიან და უკანა რიგში გადმოიყვანენ დასასვენებლად.

ჩვეულებისამებრ გერმანელები ვიდრე წინ წამოვიდოდნენ საშინელ სროლას ასტეხენ ხოლმე. ეს ერთგვარი ჯოჯოხეთია. წინ ტყვიის მტყორცნელთა სეტყვის ღრუბლით ჰფარავენ მიდამოს. მას აყოლებენ მძიმე ზარბაზნებს „მათ მწკრივად აყოლებენ და ერთგვარ ჯაჭვათ აბამენ ერთმანეთზე. თუ ხელსაყრელად არ დაინახეს, წინ ბიჯსაც არ გადმოსდგავენ და უცდიან, რომ თვით რუსები წამოვიდნენ საიერიშოდ. თუ მოახერხეს მათ ამათ თხრილებამდე მოსვლა, მაშინ რეზერვები გაშლიან ხელს. ესენი სულ დასვენებულები არიან და ხიშტით გადაერევიან მოიერიშეებს, რომელთაც დაღლილობისაგან არაქათი აღარა აქვთ რომ მტერს რაიმე წინააღმდეგობა გაუწიონ.

რუსების დახევა ეს ბრძოლის ველის ველის „არაბეთის უდაბნოდ“ გარდაქმნას ნიშნავს. რუსები ყოველისფერს სწვავენ, ანადგურებენ, რომ გერმანელთ აღარა დაუტოვონ რა. გზებს ვიღა სჩივის, მიწასთან ასწორებენ ყოველს შენობას, ანადგურებენ მინდვრებს, ნათესს, ჰებს მიწით ავსებენ, გზად შეხვედრილ ტყეს და სოფელს რაც კი გერმანელთ გამოადგებათ თავშესაფარად, უმალ ცეცხლის კოკონად გადააქცევენ ხოლმე. ამიტომ ლიუბლინის გუბერნია ეს ნგრევისა და ცეცხლის კიდეების ასპარეზია.

საოცარია, რომ გერმანელები ჯაშუშ-

ОБЪЯВЛЕНИЯ

ВНИМАНИЕ! Открыта запись на курсы кройки и шитья. Обучение по системе «Мастер». Адрес: ул. Ленина, 14, вход со двора, 2-й этаж.

ПРОДАЮТСЯ дрова колотые, сухие, доставка. Звонить по телефону 3-45-67.

ПОТЕРЯН паспорт на имя Сидорова Петра Ивановича. Нашедшего просьба вернуть за вознаграждение.

ТРЕБУЮТСЯ грузчики на склад. Обращаться: ул. Складская, 3.

ОБМЕНЯЮ однокомнатную квартиру на двухкомнатную. Предложения по адресу: ул. Садовая, 12, кв. 5.

ПРОПАЛА собака, рыжая, с белым пятном на груди, кличка Шарик. Просьба сообщить по адресу: ул. Ленина, 88.

ТРЕБУЮТСЯ ученики в столярную мастерскую. Оплата сдельная. Обращаться: ул. Пристанская, 7.

ПРОДАЮТСЯ щенки овчарки, 2 месяца, недорого. Адрес: ул. Полевая, 5.

ПОТЕРЯНА сумка с документами. Нашедшего просьба вернуть за вознаграждение.

ТРЕБУЮТСЯ ученики в столярную мастерскую. Оплата сдельная. Обращаться: ул. Пристанская, 7.

ПРОДАЮТСЯ щенки овчарки, 2 месяца, недорого. Адрес: ул. Полевая, 5.

ПОТЕРЯНА сумка с документами. Нашедшего просьба вернуть за вознаграждение.

ТРЕБУЮТСЯ грузчики на склад. Обращаться: ул. Складская, 3.

ОБМЕНЯЮ однокомнатную квартиру на двухкомнатную. Предложения по адресу: ул. Садовая, 12, кв. 5.

ПРОПАЛА собака, рыжая, с белым пятном на груди, кличка Шарик. Просьба сообщить по адресу: ул. Ленина, 88